ოქმი N15

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 25 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 31 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს თავმჯდომარემ (ე. ჯობავა) და გამგებელმა (გ. ქაჯაია) საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი, უსურვეს მათ წარმატებები, როგორც პირად ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში. გამგებელმა ისაუბრა 2015 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ წარმატებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნა, რომ 2014-2015 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება განხორციელდა 100%-ით და იმედი გამოთქვა 2016 წელიც ასევე წარმატებული იქნება ხობის მუნიციპალიტეტისთვის.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოსN32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი)

10. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. ოდიშარია, შ. ჭილაია, მ. ლაგვილავა, გ. ქაძანაია, გ. ხურცილავა, ე. წურწუმია, მ. გელანტია, მ. ნადარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები, კერძოდ: შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის ხარჯები 121,8 ათასი ლარით, კერძოდ: პრიორიტეტი „განათლება" ასიგნებები. გამონთავისუფლებული ასიგნებები 121,8 ათასი ლარი მიიმართება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯებზე. გადიდდა ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 51,0 ათასი ლარით, შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობიდან 51,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 70,0 ათასი ლარით და შემოსავლების

ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა 70,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე. შემცირდა შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 148,4 ათასი ლარით, შემცირდა პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნება. შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 361,4 ათასი ლარით, შემცირდა პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნება 361,4 ათასი ლარით, კერძოდ: 361,4 ათასი ლარით პროგრამის „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 04) მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 9850.3 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა პროექტი, რომელიც მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ნადარაია, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია, გ. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N29 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ლ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-სამეურნეო ნაწილის

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ყულევის ტერმინალიდან თანხები საბოლოოდ არ არის შემოსული, დაინტერესდა მომავალ წელს თუ რამდენი შემოვიდოდა ყულევის ტერმინალიდან ბიუჯეტში.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ელოდებიან დაახლოებით 700,0 ათას ლარს, რომელშიც არ შედის მიწის გადასახადი

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი განხილულ იქნა საკრებულოს ფრაქციებში და კომისიებში და დასძინა, რომ პროექტი შეეძლება იდეალური არ არის, მაგრამ მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე იდეალურთან მიახლოებულია და სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2016 წლის შემოთავაზებული ვარიანტით ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 6644,2 ათასი ლარით, მათ შორის საგრანტო შემოსავლების ხარჯზე მოდის 2347,7 ათასი ლარი, გადასახადები 3450,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 424,6 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება წინა ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 42,6 ათასი ლარით და შეადგენს 421,9 ათას ლარს. წინა წელთან შედარებით საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 220,0 ათასი ლარით, გადასახადები შემცირებულია 550,0 ათასი ლარით, საგრანტო შემოსავლები გაზრდილია 575,9 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6453,2 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1794,2 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1018,3 ათასი ლარი, სუბსიდიები 3125,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 419,1 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა - 230,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა - 380,5 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 41,4 ათასი ლარი, კლება 421,9 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 149,6 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6690,6 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები -

6453,2 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 41,4 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 196,0 ათასი ლარით. გამომსვლელის განცხადებით, პროექტში გათვალისწინებულია კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და წინადადებები. პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ნადარაია, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N30 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: შ. სირაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონის 156-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: „5. ამ კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს.“ ამ ნორმის მოთხოვნის შესაბამისად მომზადდა „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების პროექტი, რომლის თანახმად საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა განისაზღვრა 350 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ნადარაია, ფ. შონია, მ. ყურუა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N31 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (შ. სირაძე) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

შ. სირაძე - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-6 და მე-8 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების მიზნით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა და საკრებულოში წარმოდგენილ იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში" ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". წარმოდგენილი ცვლილებების საფუძველზე უქმდება გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური და განყოფილების სახით, 3 საშტატო ერთეულით უერთდება ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურს. შესაბამისად, სათანადო ცვლილებები შედის გამგეობის და გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულებებში და გამგეობის საშტატო ნუსხაში, ფუნქციური და და საშტატო რიცხოვნების გადანაწილების თვალსაზრისით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ნადარაია, ფ. შონია, მ. ყურუა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N32 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

მოისმინეს: **ჯ. ბერაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, მ. ყურუა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N33 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. **ალექსანდრია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების სისტემის გათვალისწინებით. 2014 წლის 29 სექტემბერს მიღებულ იქნა „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება №576, რომლითაც დარეგულირდა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა რანგირება. საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ რანგირებასთან ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობებისთვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2015 წლის საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით უკვე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. მიმდინარე პერიოდისთვის, კი ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით შემუშავდა ახალი წინადადება, რომლის საფუძველზეც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, გ. ხურცილავა, ფ. შონია, მ. ყურუა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N34 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამგეობაში შევიდა ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება ზუბის ცენტრში მდებარე კულტურის სახლის შენობაში სამლოცველოსთვის ფართის გამოყოფის თაობაზე. გამგეობის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება, გამომდინარე იქედან, რომ ზუბის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის ეკლესია, ამასთან კულტურის სახლში არის დაუტვირთავი ფართები და გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა

შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ფილიპია, ლ. ცატავა, ფ. შონია, მ. ყურუა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N63 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ფილიპია, ფ. შონია, მ. ყურუა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N64 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის

2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის განმარტებით 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არაერთი განცხადებაა შესული გამგეობაში საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსების თაობაზე, თუმცა გამგეობის მიერ საგარანტიო წერილების გასაცემად თანხები არასაკმარისია, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის დახმარების თანხიდან 5000 (ხუთიათასი) ლარი გადატანილიყო საოპერაციო თანხის ნაწილობრივ დაფინანსების დახმარების მუხლში და მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის დახმარების მუხლი განისაზღვრა 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარით, ასევე საოპერაციო თანხის ნაწილობრივ დაფინანსების დახმარების მუხლში გადატანილ იქნა თანხები, შემდეგი მუხლებიდან: სიღატაკის

ზღვარზე მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურების მუხლიდან (2000 ლარი), მრავალშვილიანთა ოჯახების დახმარების მუხლიდან (1500 ლარი), არასრულწლოვანი ობოლი ბავშვების დახმარების მუხლიდან (300 ლარი), 100 და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარების მუხლიდან (150 ლარი), ჩერნობილში მონაწილეთათვის დახმარების მუხლიდან (100 ლარი) და სამამულო ომის ვეტერანების საცხრამაისო დახმარების მუხლიდან (750 ლარი), საერთო ჯამში - 4800 (ოთხიათას რვაასი) ლარი და შესაბამისად სიღატაკის ზღვარზე მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურება განისაზღვრა 4000 (ოთხიათასი) ლარით, მრავალშვილიანთა ოჯახების დახმარება 10500 (ათიათას ხუთასი) ლარით, არასრულწლოვანი ობოლი ბავშვების დახმარება 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარით, 100 და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება 750 შვიდას ორმოცდა ათი) ლარით, ჩერნობილში მონაწილეთათვის დახმარება 1600 (ათას ექვსასი) ლარით და სამამულო ომის ვეტერანების საცხრამაისო დახმარება 1500 (ათას ხუთასი) ლარით. ხოლო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა 59800 (ორმოცდაცხრამეტიათას რვაასი) ლარით. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით გამგეობის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ცვლილებების პროგრამაში ასახვის მიზნით. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ფილიპია, ფ. შონია, მ. ყურუა, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N65 ოქმს თან ერთვის)

10. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც გამგეობის სამსახურებისთვის დადგენილი საწვავის ლიმიტებიდან ამოღებულ იქნა გამგეობის სოფლის მეურნობის განვითარების სამსახურისთვის განსაზღვრული ლიმიტი 50 ლიტრი ბენზინის სახით, და 50 ლიტრით გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფისთვის განსაზღვრული ლიმიტი დიზელის საწვავის სახით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ფილიპია, ფ. შონია, მ. ყურუა, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N66 ოქმს თან ერთვის)

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის

16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-12 საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი მელორი გელანტია საკრებულოში შემოვიდა განცხადებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა და საფინანსო-სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების შესახებ, რომლის თანახმადაც კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ზემო აღნიშნულ კომისიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ფილიპია, ფ. შონია, მ. ყურუა, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N67 ოქმს თან ერთვის)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ფილიპია, ფ. შონია, მ. ყურუა, ე. წურწუმია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N68 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ (მ. ქარდავა) მოსახლეობის სახელით თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ყოფილი „უნივერმაღის“ წინ მდებარე ტროტუარის ორივე მხრიდან ჩაკეტვის თაობაზე, მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, იმასთან დაკავშირებით, რომ ავტომანქანები მოძრაობენ ტროტუარზე და ქვეითად მოსიარულეებისთვის მოძრაობა თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ ტროტუარზე ძირითადად მოძრაობენ დისტრიბუციაზე მომუშავეთა ავტომანქანები, რომელთაც გააჩნიათ სავაჭრო ობიექტებთან მისასვლელი ალტერნატიული გზა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მოკლედ შეაჯამა 2015 წლის მუშაობის ანგარიში. ისაუბრა მიმდინარე წელს განხორციელებულ წარმატებულ პროექტებთან დაკავშირებით, მადლობა გადაუხადა გამგეობის სამსახურებს და ადგილობრივი თვითთმართველობის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს ურთიერთთანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ 2016 წელი უფრო წარმატებული იქნება ხობის მუნიციპალიტეტისთვის, სრულიად საქართველოსთვის და დასასრულს კიდევ ერთხელ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას.

2015 წლის საკრებულოს ბოლო სხდომა სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ დაიხურა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ნუგზარ შუშანია
7. თენგიზ აბაკელია
8. შოთა სირაძე
9. მალხაზ ლაგვილავა
10. როსტევან გვარამია
11. ლევან ქავთარაძე
12. ვასილ კუკავა
13. ფრიდონ შონია
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. ლაშა ცატავა
19. გიორგი ხურცილავა
20. მერაბ ფილიპია
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქაძანაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ნადარაია
27. ქეთევან ოდიშარია
28. ედიშერ წურწუმია
29. მალხაზ ყურუა
30. მელორ გელანტია
31. ირაკლი ნადარაია